№ 259 — თავგრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. — კვირა, ნოემბრის 14 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

## გურიის სავაჭრო ბანკის

### გამგეობა ამით აცხადებს ბ. ბ. აქციონერების საყურადღებოთ,

რომ თანახმად საბჭოს დადგენილებისა,

**ამა წლის 5 ნოემბრიდან მეორე ნახევარი 50 პროცენტი—ხუთასი მანეთი თითო აქციაზე—შემოტანილი უნდა იქმნეს ამა წლის 10—20 დეკემბერს:**

ლანჩხუთში — გურიის სავაჭრო ბანკში, ტფილისში — ცენტრობანკში, ქუთაისში — საურთიერთო ნდობის ბანკში, ბათუმში — ცენტრობანკის განყოფილებაში, ოზურგეთში — ელისე ივანესძე ანთელიძესთან, სამტრედიაში — სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან, სუფსაში — კონსტანტინე ჭანტურიასთან, ჯუმათში — ანდრო ალექსისძე მურვანიძესთან.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** თუ ვადაზე არ იქმნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი, თანახმად წესდების § 9, ხელის მომწერს გადახდება ბანკის სასარგებლოდ თითეული ვადა გადაცილებულ დღისათვის 5% სარგებელი და 5% ჯარიმა წლიური ამგარიშის მიხედვით. შემდეგ ამისა ნომრები მოწმობათა, რომლის შესატანი ფულიც არ იქმნა გადახდილი დანიშნულ ვადაზე, გამოცხადდება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში და ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, თუ შესატანი ფული მაინც არ იქმნა შეტანილი, ბანკის გამგეობა მოვალეა შეუდგეს ამ ნომრების მოწმობათა გაყიდვას. ვადა გადაცილებული მოწმობანი გამოცხადებულ უნდა იქმნას გაბათილებულად, და ახალ შემძენს უნდა მიეცეს ახალი მოწმობები იმავე ნომრებით და აღნიშვნით, რომ ეს მოწმობები ეძლევა იმათ ვადაზე გადაუხდელ მოწმობათა მაგიერ. გაყიდვისაგან ამონაგები თანხა ყველა ხარჯის, განსაზღვრული პროცენტის და ჯარიმის გამოკლებით გადაირიცხება იმ შესატანის შესავსებათ, რომელიც თავის დროზე არ იყო შეტანილი მოწმობათა უპირველ პატრონთაგან და რაც ამის შემდეგ დარჩება ის უბრუნდება წინანდელ პატრონებს.

**ფულის გადახდისათვის საჭიროა წარმოდგენილ იქმნას დროებითი კვიტანციები.**

992 3—1 — გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა.

---

**სახელმწ. თეატრი.**

კვირას, 14 ნოემბერს. **კ ა რ მ ე ნ ი**

ორშაბათს, 15 ნოემბერს **კ ო ტ ე  დ ა  ქ ე თ ო**

სამშაბათს. 16 ნოემბერს **რ ი გ ო ლ ე ტ ო**

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს **მ ი ნ ი ო ნ ი**

972 1—1 — დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

დღეს, ნოემბრის 14-ს, საღამოთი **ო ტ ე ლ ო**

ბილეთები გაყიდულია — რეჟისორი ა. ფალავა.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

სამშაბათს, ნოემბრის 16-ს **მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი**

971 1—1

---

## საქართველოს კოოპერატ. ბანკის მეორე გამოცემის აქციაზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1) აქციაზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს)

2) გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ-ნაწილადაც: 30% ნომინალურ ღირებულებისა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30% ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40% ამავე პირველ დეკემბრამდე,

3) აქციების გამოსაცემი ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში,

4) აქციაზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით,

5) ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე-2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

813 3—3 — საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

---

**ოფიციალური განყოფილება.**

## განკარგულებანი

### სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 459.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის რევიზორათ, თავისუფალ დაქირავებით ნიკოლოზ იასეს ძე თუმანიშვილი ა. წ. 10 ნოემბრიდან.

11 ნოემბერი, 1920 წ., № 460.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის მოანგარიშე მოხელეთ დომნა მათე ვარდიაშვილის ასული ა. წ. 11 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი: **კ. ანდრონიკაშვილი.**

—

### იუსტიციის მინისტრისა.

9 ნოემბერი, 1920 წ., № 404.

**დაინიშნა:** ვასილ ივანეს ძე ბერეჟიანი ტფილისის საპყრობილეთა საავადმყოფოს უმცროსს ექიმად შტატ-გარეშე, მიმდინარე წლის ავგისტოს 1-დან აღნიშნულ თანამდებობაზე დაწესებულ ჯამაგირის მითვისებით.

№ 405.

**დაინიშნა:** ბორჯომის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად საქართველოს სენატის მდივნის თანაშემწე ვლადიმერ ბესარიონის ძე ცაგურია ა. წ. ნოემბრის 10-დან.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 406.

დაეკისროს დროებით იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღსრულება კანცელარიის სფეროში კანცელარიის უფროსს ივანე სვიმონის ძე ბერიაშვილს.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

8 ნოემბერი, 1920 წ., № 10582.

დავბრუნდი რა სამსახურის მოგზაურობიდან ა. წ. 8 ნოემბერს შეუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას.

მინისტრის ამხანაგი **მაღაანია.**

—

### მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ. № 379.

**დანიშნულია:** ბორჯომის სახელმწიფო მამულის უფროს ტყის გამგის თანამდებობაზე ა. წ. 20 ოქტომბრიდან სატყეო დარგის მეცნიერი სამსონ ივანეს ძე ბაქრაძე.

1 გიორგობისთვე, 1920 წ., № 380.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** შულავრის სატყეოს ტყის გამგე ვლადიმერ ალექსის ძე ზასლავსკი, სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლად.

№ 381.

**აღმატებულ იქმნა:** მარტყოფ-ივრის ტყის გამგის 1 ხარ. თანაშემწე პავლე იოსების ძე კონსტანტინეშვილი შულავრის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად.

30 ოქტომბერი, 1920 წ. № 382.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და ხრულიად სამსახურიდან:** მინისტრის საბჭოს მდივანი, მელქისედეკ ბესარიონის ძე გელოვანი, შტატის შემცირების გამო, 1-ლ ოქტომბრიდან, სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

**ევალება:** საინსპექტორო განყოფილების გამგეს, ანტონ ალექსის ძე სვანაძეს, მინისტრის საბჭოს მდივნობა, იმავე რიცხვიდან, ზედმეტ მუშაობისათვის დამატებითი ჯილდოს მიცემით.

3 ნოემბერი, 1920 წ., № 383.

**განთავისუფლებულია:** თანახმად თხოვნისა ა. ქ. რრლოვი ა. წ. 1 ნოემბრიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრისა და უმაღლეს სასოფლო მეურნეობის კურსების დირექტორის თანამდებობიდან სამინისტროს კონსულტანტად დატოვებით.

**ევალება:** სამინისტროს კონსულტანტს ა. ქ. რროლოვს საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ტფილისის ბოტანიკურ ბაღისა.

30 ოქტომბერი, 1920 წ., № 384.

**ინიშნება:** დუშეთის მაზრაში სააგრარო კომისიის მდივნად გალაქტიონ ალექსანდრეს ძე ქართველიშვილი ა. წ. 20 ოქტომბრიდან.

№ 385.

**ინიშნება:** გორის მაზრაში სააგრარო კომისიის მდივნათ ალექსანდრე გიორგის ძე კოტეტიშვილი ა. წ. 28 ოქტომბრიდან.

№ 386.

**ინიშნება:** სააგრარო კომისიის მდივნათ გორის მაზრაში გიორგი ბესარიონის ძე კვეხელავა ა. წ. 20 ოქტომბრიდან.

3 გიორგობისთვე, 1920 წ., № 387.

**დანიშნულია:** მელხისედეკ ალმასხანის ძე ახალაძე, ტყის გამგის მე 2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 1 გიორგობისთვიდგან.

№ 388.

**დანიშნულია:** ალის უბნის უფროსი ტყის მცველი სპირიდონ ნიკოლოზის ძე მაჭარაშვილი. სურამის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 18 ლვინობისთვიდან.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 389.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და ხრულიად სამსახურიდან:** კანცელარიის მოხელე მარიამ გრიგორის ასული მაჩაბელი სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის 1 ნოემბრიდან, შტატის შემცირების გამო.

№ 390.

**ინიშნება:** კანცელარიის ვიცე-დირექტორი ლუკა იაკობის ძე ბრეგვაძე ამავე კანცელარიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. 1 ოქტომბრიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

**ნ. ხომერიკი.**

---

**შინაგან საქმეთა მინისტრისა.**

10 ნოემბერი, 1920 წ., № 66.

**დათხოვნილია:** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მინდობილობათა მოხელე დავით გრიგოლის ძე ელიავა აფხაზეთის კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსად დანიშვნის გამო ამა წლის 1 ნოემბრიდან.

მინისტრის მოვალ. ალ. **ჩიჩინაძე.**

---

## არა ოფიციალური განყოფილება.

---

# მთავრობაში.

**უკანასკნელი დადგენილებანი.**

გადავიდეს სამხედრო საოლქო სასამართლოს შენობა სამეცნიერო არქივ ის განკარგულებაში

ნება დართულ იქნეს იმ პირთა შევბულების განგრძობა, რომლებიც 1894—95 წლეებში არიან დაბადებულნი და რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან. შევბულების განგრძობა იმ დრომდე შეიძლება, სანამ ამას სამხედრო სამინისტრო დაინახავს შესაძლებლად.

მიეცეს ოზურგეთის ქალაქის თავს უფლება გაიტანოს საზღვარ გარეთ 2000 ფუთი ნიორი.

---

# მდგომარეობა სომხეთში

**სამხედრო ცნობა.**

სომხეთის დიპლომატიური მისია ოფიციალურად იუწყება: ნოემბრის 12-ს გუმბრის მიმართულებით ჩვენმა რაზმის ნაწილებმა დაიკავეს სოფლები: კანახ კრანი, ტაპარდი, ხატინა-ხარ-კული და კატანეკი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 თათარი, დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ნოემბრის 12 ს ერევნის რაზმისაგან ცნობები არ მოსულა.

---

# კანტორისაგან

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“

## კანტორა

**უკანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მომწერ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოესპობათ თუ აღნიშნულ დრომდე ფული არ შემოიტანეს.**

---

**თხოვნის მოთხოვნილება.**

იმ პირობებში, რომელიც ანგორის მთავრობამ წარუდგინა სომხეთს მოხსენებული იყო შემდეგი მოთხოვნა: 24 საათის განმავლობაში სომხებს უნდა ჩაებარებიათ ალექსანდროპოლში 2,000 სრულიად სავარგისი ვინტოვკა, 20 მძიმე და 40 მსუბუქი ტყვიის-მფრქვეველი, ზარბაზნების სამი ბატარეია 40,000 ყუთი სამხედრო მასალით, 6,000 ყუმბარა, 2 ორთქმავალი და 50 ვაგონი.

---

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

**წყალ-ქვეშა ბოგირები.**

გადასწყდა სასწრაფოდ აღადგინონ წყალქვეშა ბოგირები ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი დამოკიდებულების მოსაწყობად.

**პრეზიდენტის არჩევნების კანონიერება.**

შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების კანონიერებაში ეხლა ეჭვი აღარავის არ აქვს. სიების შემოწმებით გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი ხმა ჰარტინგს ამოსვლია. ამ გვარად რესპუბლიკანურმა პარტიამ კვლავ აღადგინა თავისი ძლიერება. ხმების უმრავლესობა ექვს მილიონ ხმას უდრის.

**ნიუიორკის გუბერნატორი**

ნიუიორკის გუბერნატორად სმიტის მაგივრად დაინიშნა რესპუბლიკანურ პარტიის კანდიდატი მილერი, რომელიც დემოკრატიულმა პარტიამ დაასახელა.

**ქართოფილის კრიზისი.**

ფრანკფურტში და მის ახლო მდებარე ადგილებში ქართოფილის კრიზისია. ახლო-მახლო მიდამოებში მუშებსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. მუშები ამტკიცებენ, რომ გლეხები ქართოფილს მალავენო.

**ცხოვრება საფრანგეთში.**

გაზეთი „ლ-ანტანტი“ იუწყება: საფრანგეთში ცხოვრება თანდათან ძვირდება. ფინჯანი ყავა $3^1/_2$ პენსი ღირს. განსაკუთრებით გაძვირდა ფეხსაცმელი, წინდები, ტანისამოსი და სხვა. იგივე გაზეთი გადმოგვცემს: საფრანგეთის მინისტრთა საბჭო მეტად შეშფოთებულია ცხოვრების ასეთი გაძვირებითო. სიძვირესთან საბრძოლველ ზომების გამოსამუშავებლად მინისტრთა საბჭომ საგანგებო თათბირი მოიწვია. სურთ, რომ მცხოვრებთათვის მოიმარაგონ: პური, ხორცი და თევზი.

**კერზონი და კრასინი.**

ლორდ კერზონმა კრასინის სახელზე გაგზავნილ საგანგებო ნოტაში შავ ზღვაში ჩაშვებულ საბჭოთა წყალქვეშა ნავების აგრესიული განზრახვა აღნიშნა. ლორდ კერზონი საბჭოთა წყალქვეშა ნავების მოქმედების ყველა შედეგების პასუხისმგებლობას საბჭოთა მთავრობას აკისრებს.

**ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.**

ინგლისური პრესა იუწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობას წინადადება მისცა შინაურ პოლიტიკის რადიკალურ შეცვლის შესახებ.

**ამერიკის არმიის რეორგანიზაცია.**

ამერიკის პრესა აღნიშნავს პროექტს ამერიკის არმიის რეორგანიზაციის შესახებ. თანახმად პროექტისა განზრახულია დივიზიის შემადგენლობის გაძლიერება. ყოველ პოლკში წინაამდეგ ერთისა, სამი ტყვიის მფრქვეველთა როტა იქნება.

**გენ. ვრანგელი.**

„ტანი“ იუწყება: გენერალმა ვრანგელმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს სთხოვა მხარი დაუჭირონ ანტიბოლშევიკურ ძალებს. ვრანგელი თავის მოწოდებაში ურჩევს მთიელებს შეუერთდენ მის ჯარს ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

**მოძრაობა ინდოეთში.**

„ტაიმსი“ იუწყება: ინდოეთში მოძრაობა ინგლისის რეფორმების პროექტის წინაამდეგ ძლიერდება. მოძრაობას სათავეში უდგას განდი და ძმები ალი ზოგიერთმა პროვინციებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისის რეფორმებს.

---

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ამნისტია ოქტომბრის რევოლიუციის გამო.**

საბჭოთა რუსეთმა 7 ნოემბერს გამოაცხადა დეკრეტი ამნისტიის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის გამო. ამნისტია გავრცელდება ყველა დამნაშავეზე, რომელნიც უკვე დანაშაულობის სასჯელს იხდიან.

**სააგიტაციო კურსები.**

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ი სწერს: საბჭოთა რუსეთში ეკონომიურ და სურსათ-სანოვაგის შექმნილ კრიზისის გამო დაარსებულია სააგიტაციო კურსები. ამ კურსებს მიზნად აქვს ქალაქ და სოფელს შუა ურთიერთობა აღადგინონ. სოფლად ბევრი აგიტატორები იგზავნებიან, რომ გლეხებთან მოლაპარაკება გამართონ სურსათ-სანოვაგის ქალაქში წამოღების შესახებ. რუსის გლეხი მეტად გაჯიუტებულია. მას სრულიად არ უნდა წამოიღოს ქალაქში რაიმე სურსათი. რაც გინდ სასტიკი ბრძანება მიიღოს გლეხმა ის მაინც შეუპოვარია და განრისხებით იცავს თავის ოჯახის შეუხებლობას.

**გამომცემლობის საქმე.**

გამომცემლობის საქმე საბჭოთა რუსეთში მეტად შეფერხებულია. ქაღალდის დიდი კრიზისის გამო თითქმის წიგნები სრულიად აღარ იბეჭდება. იბეჭდება მხოლოდ ბოლშევიკური იდეის მატარებელი გაზეთები და პროკლამაციები.

**იარაღების შეკვეთა კრუპის ქარხანაში.**

გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა კრუპის ქარხნებს შეუკვეთა ორი ათასი სამეურნეო მანქანა, რომელთა საერთო ღირებულებაც 5 მილიარდ მარკას უდრის. ნაწილი ამ ფულისა თანახმად გაზეთ „ანტანტის“ ცნობისა გადახდილ უნდა იქნეს ოქროთი, ნაწილი კი კონცესიებითო.

**რკინის გზით მიმოსვლა საბჭოთა რუსეთში.**

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ რუსეთში აღმოსავლეთ რკინის გზებზე მატარებელთა მოძრაობა ოდნავად გაუმჯობესდაო. მატარებლები, რომლებიც მხოლოდ ათ ვერსს გადიოდენ საათში ეხლა უკვე 15 ვერსს გადიანო.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**ელჩთა კონფერენცია.**

ელჩთა კონფერენციის სხდომა ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით პარასკევს შესდგა. მოისმინეს კომისიის მოხსენება სარის საზღვრების შესახებ და მოიწონეს იმ კომისიის მოხსენება, რომელიც განაგებს გერმანია-პოლონეთის საქმეებს მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირისა და აღმოსავლეთ პრუსიის მოსაზღვრე ხაზის შეცვლის შესახებ. განიხილეს აგრეთვე რუმინეთსა და უნგრეთის შორის ზოგიერთ სიძნელისაგან გამოწვეული აღძრული საკითხი. კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა რათა ამ ორ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური დამოკიდებულება დაჩქარებით იქნეს აღდგენილი.

**საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის თავის დღესასწაული.**

საფრანგეთის რესპუბლიკის 50 წლის თავი პარიზში ზეიმით გადაიხადეს. პატივი სცეს გამბეტის გულს, როგორც იმედის სიმბოლს და „უცნობი ჯარისკაცის“ ნეშტს, გამარჯვების სიმბოლს, რომელმაც საფრანგეთს ჩამოცილებული პროვინციები დაუბრუნა. კორტეჟმა სატახტო ქალაქის მთავარ ქუჩებში ჩაიარა. საღამოს ყველგან მხიარულება და სიცხოვლე იყო გამეფებული. ფეიერვერკები, ილუმინაციები და სხვა გასართობები ძველ დიდებულ დღესასწაულებს მოაგონებდენ ადამიანს.

**გაზეთი „ეპოხა“ საფრანგეთის რესპუბლიკის დღესასწაულის გამო.**

„ეპოხა“ 50 წლის დღესასწაულის გამო სწერს: საფრანგეთის რესპუბლიკამ 3 მთავარ მიზანს მიაღწია: წესრიგის დამყარებას, წმინდა დემოკრატიულ რეჟიმსა და ელზას ლოტრენის დაბრუნებას.

**მოსკოვის დასაცავად.**

მოსკოვიდან ნოემბრის 10 გაგზავნილი ბოლშევიკების რადიო დეპეშაში აღწერილია ის საგანგებო ზომები რომელიც მოსკოვის დასაცავათ არის მიღებული მაგრამ დეპეშაში არ არის აღნიშნული თუ რა ზომებია ეს ზომები. იქ დაწვრილებით არის ნათქვამი, რომ ეს ზომები გამოწვეულია ანტანტის ინტრიგით, რომელსაც არ ენანება ოქრო, და უხვად ფანტავს მას ოღონდ კი ბოლშევიკების რეჟიმი დამარცხდეს.

**დე-ფრანსის და დე-ბონის ელჩად დანიშვნა.**

„ეხო დე-პარის“ ცნობით დეფრანსი დაინიშნება საფრანგეთის ელჩად მადრიდში. ადმირალი დებონი კი სტამბოლში.

**ავსტრია და ერთა ლიგა.**

ვენის გაზეთები იუწყებიან: ავსტრია ერთა ლიგაში შესვლას მოითხოვსო.

---

# ახალი ამბები

✦ **ჯანმრთელობის დეპარტამენტში.** ჯანმრთელობის დეპარტამენტმა შეადგინა მორიგი მერვე, ნოემბრის ბიულეტენი გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ. ნოემბრის პირველიდან რვამდე ბათომში შემდეგი შემთხვევები არის აღნიშნული: ნოემბრის პირველს შავი ჭირით ავათ იყო—13, კვირის განმავლობაში გახდა ავათ—1, მორჩა—2, მოკვდა—1, ავათ არის ჭირით 11, ამ ხნის განმავლობაში ფოთში ჭირით არავინ არ გამხდარა ავათ. ამ რიგად სულ რესპუბლიკაში შავი ჭირით 11 კაცი გამხდარა ავათ. ტფილისში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ხოლერით ავად გახდომისა.

✦ **ავიაცია** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იტალიის საავიაციო ქარხანამ გამოგზავნა საქართველოში ერთი საუკეთესო იტალიელი მფრინავი ანტონი ლევანტინო და მექანიკი ძმალინი. მათი ჩამოსვლის მიზანია ქართველ მფრინავებს შეასწავლონ იტალიის ჰაეროპლანების ხმარება.

✦ **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს: 1, ჟურნალი „ჩვენი ქალაქი“ უნდა გაეგზავნოს ყველა ქალაქს. 2, წინადადება მიეცეს ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ ბიუროს განაგრძოს საექიმო სანიტარულ ბიუროს მიერ დაწყებული მუშაობა.

✦ **წ.-კ. საზ. კრება.** კვირას, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში (დამფუძნებელი კრების ქუჩა) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება ნაცვლად პირველი კრებისა, რომელიც არ შესდგა 7 ნოემბერს. განსახილველი საგანია საკითხი მოხდეს თუ არა განყოფილების ლიკვიდაცია. თუ უარყოფით გადაწყდა ეს საკითხი, მაშინ მოხდება გამგეობის და სხვა ორგანოთა წევრების არჩევნები.

✦ **იტალიის წარმომადგენელი საქართველოში.** იტალიის მისია იუწყება: იტალიის მთავრობამ საქართველოში იტალიის პოლიტიკურ აგენტათ დანიშნა ჩეროტცკი, იტალიის ყოფილი ელჩი ბუდაპეშტში.

✦ **ელექტრონი.** ქალაქის ელექტრონის სადგური ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მიღება ახალ აბონენტთა შეწყვეტილია და არავითარი განცხადება შეერთებაზე განხილული არ იქნება.

**კოოპერატიული სასადილოები.** ტფილისის კოოპერატივთა კავშირმა წარუდგინა მთავრობას მოხსენება კოოპერატიული სასადილოების შესახებ. დღემდი ასეთი სასადილოების გახსნა ვერ ხერხდებოდა შესაფერ შენობებისა და ინვენტარის უქონლობის გამო. ახლა ამ საკითხზე მოწვეულ იქმნა კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირმა აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა კოოპერატივთა თათბირის აზრი ამცნოს მთავრობას და მიიღოს სასადილოების გასახსნელად წინასწარი ზომები.

**ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.** მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი საზღვარ-გარეთიდან ფუფუნების საგნების შემოტანის აღკრძალვის შესახებ. თანახმად პროექტისა განზრახულია შემდეგი საგნების შემოტანის აკრძალვა: 1) თამბაქო და თამბაქოს ყოველგვარი ნაწარმოები, 2) გამხმარი ხილი, 3) მაგარი სასმელები, 4) ხელოვნური წყლები, 5) ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, 6) ძვირფასი ქსოვილები, 7) ძვირფასი ლორნეტები, ბინოკლები, 8) ოქროს საათები, 9) აბრეშუმის ქსოვილები, 10) დუხი, ოდეკოლონი და სხვა, 11) აბრეშუმის, მაუდის ტანისამოსი ქალისა და კაცის, 12) ქალის შლიაპები ფრთებით და ყვავილებით შემკულები, 13) ძვირფასი ქოლგები, 14) ძვირფასი ფრთები და ყვავილები და სხვა.

**ავაზაკის შეპყრობა.** ზუგდიდის სამაზრო კომისარმა ხუბუტიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეგრაფით აცნობა, რომ მის მიერ შეპყრობილია ავაზაკი ტერენტი ქყადუა.

## რადიო-ტელეგრაფის ქსელის მოწყობა

იტალია-კავკასიის საანგარიშო ბანკის ტფილისის განყოფილებამ ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს წარუდგინა საქართველოში რადიო ტელეგრაფის ქსელის კონცესიის პროექტი, შეთანხმების პროექტი 15 მუხლში არის ჩამოყალიბებული. თანახმად პირველი მუხლისა დამფუძნებულ ჯგუფს ეძლევა განსაკუთრებული უფლება საქართველოში რადიო-ტელეგრაფის და რადიო-ტელეფონის სადგურების დადგმისა 30 წლის განმავლობაში. თანახად მესამე მუხლისა დამფუძნებელ ჯგუფს ეძლევა კონცესია დასადგომლად და საექსპლოატაციოდ ერთი რადიო სადგურისა ტფილისში, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტფილისიდან იტალიასთან პირდაპირი დამოკიდებულების დაჭერა. თანახმად მეექვსე პუნქტისა 30 წლის გასვლის შემდეგ რადიო სადგურები ყოველგვარ ჯილდოს გადუხდელად მთავრობის სრულ გამგებლობაში გადადის. თანახმად მერვე მუხლისა მთავრობას უფლება ეძლევა გაუწიოს კონტროლი რადიო სადგურების მოქმედებას. თანახმად მეათე მუხლისა მთავრობა საზოგადოების შემადგენლობაში შედის.

## ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მორიგ სხდომაზე ე. მადისონმა გააკეთა მოხსენება შრომის ბეგარის კანონის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის სამინისტროში ამ საკითხის განსახილველად მოწვეული იყო ორი თათბირი და ამასთანავე განზრახულია საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღებაო. მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უარყვეს პროექტი შრომის ბეგარისა. მოხსენების დაწვრილებითი განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა: ვინაიდან საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღება არსებულ პირობებში პრაქტიკულად განუხორციელებელია, ამიტომ შრომის ბეგარის პროექტი უარყოფილ უნდა იქნეს. რაც შეეხება არა მშრომელ ელემენტებს, მათდა მიმართ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რომ ეს ელემენტებიც ჩაებან საყოველთაო შრომაშიო.

## ე რ ო ბ ა

### გურიის ერობაში.

ერობის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა ერობის თანამშრომელთა კავშირის გამგეობას იმ ზომების მიღებისათვის, რომლებიც შეეხებიან თანამშრომელთა მიერ თავიანთ მოვალეობათა პირნათლად შესრულება და შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმამდე გადიდებას.

— გამგეობამ ამ დღეებში დაამტკიცა ასკანის თემის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 2.275.125 მან. ბალანსით.

— ჩოხატაურის საერობო გიმნაზიის დირექტორათ—ნაცვლად სამსახურიდან დათხოვნილ ი. ცინცაძისა, დაინიშნა ნიკ. დუმბაძე. გიმნაზიის ჩაბარების დროს აღმოჩნდა საქმეები დიდათ არეული და აგრეთვე გაფლანგული 95.600 მან. ამ ფულში ერობამ ბ-ნ ცინცაძისაგან მიიღო, თანახმად მისი განცხადებისა, ცინცაძის წიგნთ-საცავი.

— სწავლის ფულათ ჩოხატაურის გიმნაზიაში დაწესდა 2,000 მანეთი.

— ერობამ აკრძალა მაზრაში სალი ნიგვზის ხეების მოჭრა და გაზიდვა, თუ საამისო ნებართვა მყიდველს არ ექნება მთავრობიდან. ერობის ასეთი დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაზრას კალიასავით შემოესივნენ სპეკულიანტები, რომლებიც ერთი შეხედვით დიდ ფულს აძლევენ ნიგვზის ხის მეპატრონეებს, რომლებიც ერთ თავათ ანადგურებენ ნიგვზებს. ეს გარემოება დიდათ საზარალოა თვით ხალხისთვის ერთი იმიტომ, რომ ნიგვზები—ეს ძვირფასი ქონება ისპობა და, მერეთ, იმიტომ, რომ ნიგვზის ხეები დღეს ბაზარზე ძლიერ ძვირათ ფასობს და ხალხს კი სპეკულიანტები ატყუილებენ ბაზრის ფასების მეათედ-მეოცედსაც არ აძლევენ.

ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ამ დადგენილების დადასტურების შესახებ.

— ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მას მაზრაში არსებულ ძველი გზების რემონტისათვის და ახალის გასაყვანათ აღმოეჩინოს დახმარება 13 მილიონი მანეთის გადმოცემით. ერობას იმედი აქვს, რომ მთავრობა ამ შუამდგომლობას დააკმაყოფილებს, ვინაიდან გარეშე ამისა მას არავითარი საშუალება არა აქვს ნატურალური ბეგრის საშუალებით გამოიყენოს ხალხის შრომა, და საგრძნობი რემონტი უყოს ერთავათ დანგრეულ გზებს.

— ამ დღეებში ერობის გამგეობამ გადასინჯა მოსამსახურეთა შტატები და რამდენიმეთ შეამცირა ის.

— მუშაობის უფრო მიზანშეწონილათ და ნაყოფიერათ საწარმოებლათ, ერობამ თავისი ტეხნიკური განყოფილება გაჰყო ორ ნაწილათ—საგზო და საამშენებლო ნაწილებათ; თვითეულ ამ ნაწილთაგანს დამოუკიდებლათ განაგებს თითო ინჟენერი; ამ ნაწილთა მუშაობის სახელმძღვანელოთ და გასაერთიანებლათ გამგეობასთან დაარსდა ტეხნიკური საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს სათანადო გამგეობის წევრი და წევრათ შედიან ორთავე ნაწილის გამგენი; სათათბირო ხმით შედიან საბჭოში აგრეთვე ერობის ტეხნიკები და საგანგებოთ მოწვეული პირები. საგზო ნაწილის გამგეთ დაინიშნა ინჟ. კენეცკი, საამშენებლო ნაწილისა—ინჟ. კუზნეცოვი.

**ხუხეინ.**

## ბ ა თ ო მ ი

— უკანასკნელ ხნის განმავლობაში ბათომში შავი ჭირით არავინ გამხდარა ავად.

— ქალაქის თვითმართველობის წევრმა ჭორჭაშვილმა წინადადება მისცა ქალაქის ინჟენერს რომ მან შეადგინოს პროექტი ბათომის ნავთსადგურის გაფართოვების შესახებ.

— გემმა „ანკონმა" საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის ნებართვით დასტოვა ბათომის ნავთსადგური. ჩამოვიდა გემი „ფრიდჟი" საზოგადოება პაკესი. გემმა ბევრი საქონელი ჩამოიტანა. ჩამოვიდა აგრეთვე იტალიელთა გემი „კოლეტიც".

— ართანუჩიდან იტყობინებიან რომ იქ მეტად ადრე დადგა ზამთარი. ჩამოჰყარა თოვლი და შესამჩნევად აცივდა კიდეც.

— ხე-ტყის მასალა ბათუმის ბაზარზე წინად მეტად იშვიათად მოიპოვებოდა. განსაკუთრებით არ შემოდიოდა საკმაო შეშა სათბობ მასალისთვის. ამ ჟამად ხე-ტყის ექსპორტი კი თან და თან იზრდებოდა. ხე-ტყე საუკეთესო-ხარისხისაა.

## პროფესიონალური ცხოვრება

ნოემბრის 11 შესდგა პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ტფილისის საბჭოს სეკრეტარიატის გაერთიანებული სხდომა. მოისმინეს მოხსენება კომისიისა მუშათა სურსათით უზრუნველყოფის შესახებ. კომისიას მიცემული ქონდა 10 დღის ვადა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამოცხადებული მობილიზაციის გამო და სხვა ტეხნიკური მიზეზების გამო პურის ულუფის გადიდება ჯერჯერობით შეუძლებელია.

რაც შეეხება ნავთს, შეშას, კარტოფილს და სხვას, შრომის სამინისტრომ განუცხადა კომისიას, რომ ამ დღეებში გაუნაწილდება მუშათა და მოსამსახურეებს. მიღებულია აგრეთვე ზომები პირველ საჭიროების საგნების დასამზადებლად. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავრობამ კოოპერატივებს მისცა სუბსიდია მუშათა და მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფათ, რომ შეიძინონ პირველი საჭიროების საგნები. შრომის მინისტრის ამხ. ა. ბახტაძემ განაცხადა, რომ საჭიროა ამ კრებაზე გადასწყდეს საკითხი და პირველად ყოვლისა კატეგორიულად დაწესდეს, რომ ჯამაგირის მომატება თვით მუშებისთვის ძლიერ ცუდია. ა. ბახტაძემ განაცხადა: სამინისტრო ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იმ კოოპერატივებს, რომლებიც სახელმწიფოსთვის ამზადებენ სურსათს, მიეცათ 40 მილ. მან., სამინისტროს განკარგულებაშია სამასი საჟ. შეშა, ნოემბრის 20—25, ექნება 600 საჟ. სამინისტრო ორშაბათიდან დაიწყებს შეშის განაწილებას. იანვარში დაარიგებს კიდევ 2 ათას საჟ. შეშას. სამინისტროს შეუძლია აგრეთვე დაარიგოს სულზე ათი გირვ. კარტოფილი.

ამას გარდა სამინისტრო ფიქრობს ოჯახზე თვიურად 1 ფუთი ნავთი დაარიგოს. დასასრულ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: 1. ვინაიდან რესპუბლიკის საზღვრებზე შეიქნა სამხედრო მდგომარეობა, რომელიც ემუქრება ჩვენს რესპუბლიკას განადგურებით, მთელი ძალა უნდა მოხმარდეს სახელმწიფოს, რისთვისაც საჭიროა ფინანსები და სურსათი, ამიტომ სხდომას აუცილებლად მიაჩნია დროებით მოხსნას საკითხი მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 2. რათა კოოპერატივებს შეძლება მისცეს მოამზადონ მუშებისათვის პირველი საჭიროების საგნები, მთავრობა მათ უნდა დაეხმაროს სუბსიდიით, 3. მუშათა და მოსამსახურეებს იაფ ფასებში და ნისიათ უნდა დაურიგდეს შეშა და მოეწყოს მათ ბინებზე შეშის გადატანა, 4. მოიწვიონ აღმასრ. კომიტეტის პროფ. კავშირთა სეკრეტარიატისა და საქარხნო კომიტეტების საერთო სხდომა, 5. აღმ. კომ. პრეზიდიუმს დაევალოს, რომ მან მიმართოს ყველა რესპუბლიკის მუშებსა და მოსამსახურეებს მოწოდებით აღნიშნულ საკითხების შესახებ.

## პროვინციის ცხოვრება

### ოზურგეთი.

მიწის ძვრისაგან გორში დაზარალებულთა ქალაქ ოზურგეთის დამხმარე კომიტეტმა 28 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა რა ყველა ანგარიშები შემოსავალ-გასავლის დღიდან თავისი დაარსებისა დაადგინა:

მოახდინოს ხსენებულ კომიტეტის ლიკვიდაცია და ანგარიშების შესახებ გაუგზავნოს დაწვრილებითი ცნობები მთავარ კომიტეტს. ანგარიშების განხილვის დროს გამოირკვა შემდეგი: შემოსავალი 90,286 მან., 50 კაპ.; გასავალი: 1) ფოსტით გადაგზავნილია ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის ელიავას სახელზე 50,000 მან., 2) საფოსტო გადასახადი 500 მ., 3) ქალაქთა კავშირის კომიტეტს გადაეცა კვიტანციით 16 მარტს 1920 წლ. № 2375, 22,000 მან., 4) მასვე კვიტ. 26 აპრ. 1920 წ. № 4043, 11,000 მ., 5) გადაგზავნილია ფოსტით ქალ. კავშირის თავმჯდომარის ელიავას სახელზე 6000 მ., 6) საფოსტო გადასახადი 120 მ., 7) დეპეშა 36 მ., 8) მოწოდების დაბეჭვდა 138 მ., 9) კანცხადების დაბეჭვდა 200 მ., 10) ყალბი ფული 100 მ., 11) გადაგზავნილია ფოსტით 190 მ., 12) საფოსტო გადასახადი 2 მ. 50 კ. სულ 90,286 მან. 50 კ.

ეთხოვოს მთავარ კომიტეტს ეს ანგარიში მოათავსოს პრესაში ქ. ოზურგეთის მცხოვრებთა საყურადღებოდ.

კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მურვანიძე.**

—

### ქარელი.

სახალხო უნივერსიტეტის იდეა თანდათან მტკიცდება. ახლად არჩეული გამგეობა უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

6 ნოემბერს შესდგა საზოგადო კრება. სხვა საგანთა შორის განიხილეს თეატრის გადაკეთების საკითხი. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად დაადასტურა გამგეობის აზრი—აშენდეს სრულიად ახალი თეატრი, სადაც უნდა მოთავსდეს არა მარტო აუდიტორია და სცენა, არამედ სამკითხველოც. თეატრისთვის მასალა მზათ არის. აქაური ქველმოქმედნი თანაგრძნობით მიეგებნენ ამ კეთილ საქმეს და აღუთქვეს 30 ათასი მან. იასონ ყიფიანმა და სხვებმა.

სახ. უნ—ტის დაარსებამ ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენში, რომ ყველა მას იმედის თვალით შეყურებს. თეატრიც ამ მოკლე მომავალში უსათუოდ იქნება.

გამგეობის პრეზიდიუმი ახალ საქმისადმი დიდ ენერგიას იჩენს (თავმჯდომარეა დ. ჟორდანია, მისი ამხანაგი ა. დეკანოზიშვილი, მოლარე ნ. ჭელიძე და მდივანი გ. კოშორიძე).

ალ. გარსევანიშვილმა ხალხის თხოვნით სახალხო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია: „ქართველი ქალი მე-18 საუკუნეში". ლექცია მეტად შინაარსიანი გამოდგა, რისთვისაც დამსწრე საზოგადოებამ ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**X.**

## ს ე ნ ა ტ ი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1920 წ. ნოემბრის 19 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე პავლე სპანდარაშვილის გიო და აბრამ კაკაშვილებთან მამულის თაობაზე.
2. საქმე ლეონტი შანიძის მარიამ ჯაკობიასთან, ანნა და ოლღა თედორაძეებთან ადგილის დაცლის თაობაზე.
3. საქმე იულია როზენშტენგელის ვასილი ბაბახანიანცთან ბინის დაცლის თაობაზე.
4. საქმე ქიამილ გადჟი ოღლი შახშაევის გიტლი შაპსონთან ბინის დაცლის თაობაზე.
5. საქმე ზურაბა ნადირაშვილის გარდაცვალებულ ილიკო ნადირაშვილის ობლების და ქონების მოურავის ანნა კვირიკაშვილთან ადგილის და 3955 მან. თაობაზე.
6. საქმე იოსებ და ანდრია ხიზანაშვილების გიო ხიზანაშვილთან საზრდოს საფასურის თაობაზე.
7. საქმე ელენე და ელისაბედ სულხანიშვილების ემილია, იულია და ივანე კამპანებთან და ფრანც ამაშუკელთან ბინის დაცლის თაობაზე.
8. საქმე გიორგი ჯაფარიძის ოლღა მიქელაძესთან 3500 მანეთის თაობაზე.
9. საქმე ლეონიდ კარდოვის და თედორე მოროზოვის სავაჭრო სახლთან „სოვრემენიკ"-თან ფულების თაობაზე.
10. საქმე სავაჭრო სახლის „სოვრემენიკის" თედორე მოროზოვთან ფულების თაობაზე.

## მილიციაში

ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ბ. მაჭავარიანმა შემდეგი შინაარსის ბრძანებით მიმართა მილიციის მოხელეთ:

ვამჩნევ, რომ მილიცია, მიუხედავათ იმისა, რომ დარაჯათ უნდა უდგეს მშვიდობიანი ხალხის ინტერესების დაცვას და მთელი თავისი ღონით უნდა სცდილობდეს თავისი სამსახური პირნათლათ შეასრულოს მთავრობის და ხალხის წინაშე—აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და რაღაც მხეცური ინსტიკტების გავლენით, უდიერად ეპყრობიან დაპატიმრებულთ და ხშირად ნებას აძლევენ თავის თავს სცემონ მათ, როდესაც სრულებით არ იციან მათი დანაშაულობა, თუ რამდენათ უძევს მათ წილი ისეთში. მილიციამ უნდა იცოდეს, რომ ის არის ერთგვარი აღმასრულებელი ძალა რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ავაზაკების და ბოროტ-გამზრახველების დევნა—შეპყრობა, მყუდროების დაცვა და სხვ. და სრულებით არ აძლევს მათ უფლებას გადაჭარბებულ მოქმედებისას და მით უმეტეს ცემა-ტყეპისას.

უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ ჩვენ ვართ მოსამსახურე თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკისა, სადაც უნდა იყვეს დაცული და ხელუხლებელი ყოველივე მოქალაქის პიროვნება, თუ ვინმე რაიმეს დააშავებს, იმას შეუდგება საქმე და გადაეცემა სათანადო სასამართლოს მსჯავრის დასადებათ, სადაც გამოირკვევა მისი დანაშაულობა თუ სიმართლე. მე კი, როგორც ნამდვილი დამცველი დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებისა, არ შემიძლია დავუშვა ასეთი უმგზავსო საქციელი იმ მაზრაში სადაც მე ვმსახურებ და სასტიკათ ვაფრთხილებ ყველა რაიონის და ქალაქის მილიციის უფროსებს და მათ მილიციონერებს რომ არამც თუ ცემა-ტყეპა, არამედ თვით უდიერი სიტყვისთვისაც-კი ჩემგან სასტიკათ იქნება დასჯილი ვინც ასეთში შემჩნეული იქნება, ის ვერავითარ მფარველობას ჩემგან ვერ იპოვის, ის დათხოვნილი იქნება

სამსახურიდან—გადაეცემა სათანადო სასამართლოს სასტიკი სასჯელის დასადებათ.

ვიმეორებ, რომ **უცვლა ჩვენ ვართ ხალხისათვის და არა ხალხი ჩვენთვის.**

ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი
**ი. მაჭავარიანი.**

---

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“
**ხ. ავალიანი.**

# წესდება
## დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა.
### III. მმართველობა.

გ) მოწონება გამგეობის მიერ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვისა აქციონერთა საზოგადო კრებისთვის წარსადგენად და დასამტკიცებლად და აგრეთვე ნებართვა ხარჯთ-აღრიცხვიდან გადახვევისა, თუ ვინიცობაა, საჭიროდ იქნა ეს დანახული.

დ) შემოწმება წლიური ანგარიშისა და წარდგენა მისი საზოგადო კრებისთვის საბოლოოდ დასამტკიცებლად თავისი აზრის ზედართვით.

ვ) განხილვა ყველა იმ საკითხისა, რომელიც ამ წესდების ძალით ან იმისთვის, რომ გამგეობა სცნობს ამას საჭიროდ, წარედგინება საბჭოს გადასაწყვეტად.

ვ) წინასწარი განხილვა ყველა საკითხისა, რომელიც უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას გადასაწყვეტად.

ზ) დროებით ჩაყენება თავისი წევრებისა გამგეობის წევრების ადგილას იმ შემთხვევაში, რომელიც § 37 მოხსენებულია.

თ) არჩევა და წარდგენა საზოგადო კრებისათვის დასამტკიცებლად გამგეობისა და საბჭოს წევრებისა. თუ წარდგენილი არ იქნება დამტკიცებული, მის მაგიერ საზოგადო კრება თითონ ირჩევს სხვას ხმის უმეტესობით.

ი) დამტკიცება ყოველგვარ ინსტრუქციებისა გამგეობისა და ბანკის დანარჩენ ორგანიზაციებისათვის.

§ 51. საბჭოს სასყიდელი შესდგება ტანტიემიდან, რომელიც თანახმად § 81 ამა წესდებისა, განისაზღვრება ყოველ წლობით საზოგადო კრების მიერ შემდეგ ბალანსის დამტკიცებისა და განსაზღვრულ ჯილდოსაგან, რომელიც მიეცემა სხდომაზე დასწრებისათვის.

§ 52. საბჭოს და გამგეობის შეერთებულ კრებულს ნება აქვს დააწესოს ბანკში განაღდების კომიტეტი და ამ კომიტეტში აირჩიოს ისეთნი, რომელსაც იცნობს იგი კრებული. განაღდების კომიტეტს ევალება, ხოლო თუ კომიტეტი არ არის, გამგეობას ევალება (მუხ. თ. § 40) გადასწყვიტოს რაოდენობა კრედიტისა ბანკის კლიენტებისათვის, რაოდენობა სესხისა, რომელიც ბანკმა უნდა გასცეს, საქონლისა, პაებისა, ობლიგაციებისა და სარგებლიან ქაღალდების გირაოდ და შესაწყნარებელია თუ არა გას ნაღდებლად წარმოდგენილი ვექსილები.

§ 53. გამგეობისა და საბჭოს წევრები და აგრეთვე სხვა ყველა ბანკის მოხელე მოვალენი არიან დაიცვან საიდუმლოება ყველაფერში, რაც შეეხება ბანკისადმი რწმუნებულ კერძო საქმეებსა და ანგარიშებს.

§ 54. საბჭოს და გამგეობის წევრები ექვემდებარებიან პასუხისგებას, როგორც პირადად, ისე ქონებით, ყოველი იმ ზარალისათვის, რომელიც ბანკს მოუვა წესდებისა და საზოგადო კრების დადგენილებათა დარღვევით.

§ 55. ბანკს აქვს ბეჭედი ზედ წარწერით: „დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“.

---

## განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალქალაქის თემიდან, ს. დემოკ. პარტიის წევრობის ბარათი სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული, გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა სარქის სტეფანეს ძე ასლამაზოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3641 3—2

---

დაიკარგა პასპორტი დზხზა მუშეგის ასული ბაბაიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3648 3—2

---

დაიკარგა უვადო პასპორტი № 4159 ივანე სიმონის ძე ხვოიკას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3645 3—2

---

დაიკარგა პასპორტი ელენე მუშეგის ასული ანანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3646 3—2

---

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვასილ სტეფანეს ძე უმეკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3640 3—2

---

დაიკარგა საბინაო დავთარი სარაჯიშვილის ქ. № 2 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კვეზერელი და კოპაძეს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3649 3—2

---

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსისაგან, კახეთის რკ. გზის კოოპერატივის წევრობის ბარათი და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან. ერმალოზ გაბრიელის ძე ჭუმბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ) 3—2

---

დაიკარგა საბინაო დავთარი ალაზნის ქ. № 16 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბაირამოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3639 3—2

---

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სარქის ოსკანას ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3643 3—2

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3662|57 მიღებული ნავთლუღი-კახეთის უბნის გვარდიის შტაბიდან, წლიური ბილეთი, მიღებული სოფ. მარანის თემის გამგეობიდან, ჯარში ნამსახურობის მოწმობა, პირადობის მოწმობა, მიღებული კახეთის რკ. გზის სამმართველოდან და სასურსათო ბარათი, კახეთის რკ. გზის კოოპერატივის ნოე ივანეს ძე ჯალარკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3586 3—3

---

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სურათით, მიღებული საფრანგეთის საკონსულოდან ფოტოგრაფიული აპარატის, საბაჟოს ქ. მუშაობის ნებართვა და სხვა საბუთები ისაკ გიორგის ძე თამაზაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3627 3—3

---

დაიკარგა ფერშლის მოწმობა, მიღებული ჟიტომირის სამხედრო გოსპიტალიდან და ამაღლების სამასწავლებლო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა სიმონ ივ. ამაღლობელის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3619 3—3

---

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქვემო-ჭალის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვასილი როსტომის ძე ფუხაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3621 3—3

---

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გიორგი პავლეს ძე კაბულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3622 3—3

---

დაიკარგა საბინაო დავთარი ჟანდარმის ქ. № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კ. გალინეცს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3623 3—3

---

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი და სხვა საბუთები არიუტინ აგასის ძე ანდრიასოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3626 3—

---

დაიკარგა პასპორტი მიღებული (პატარაონის საზოგ.) სოფელ დიდიშის კომისრისაგან. ლავრენტი ფარსადანის ძე ღვდელაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3583 3—3

---

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 37 სურენ მნაცაკანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პირველ კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3628 3—2

---

სამხედრო სასამართლო თანახმად 1920 წ. 4 სექტემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილების ეძებს მე-7 რაზმის ყოფილ ჯარის კაცს ქ. ახალციხის მცხოვრებ ისაკ იგივე იოსებ) ალელაშვილს 21 წლისას რომელსაც სამხედრო სასამართლოს 1918 წ. 28 ნოემბრის სხდომის დადგენილებით მისჯილი აქვს გამასწორებელი რაზმი ორ წელიწად ნახევრის ვადით ზოგიერთ უფლებების და სამსახურში უპირატესობის ჩამორთმევით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ალელაშვილი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 980 3—3

---

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული სალექციო წიგნაკი № 2825 სტ. გიორგი ელიარიძეს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3631 3—2

---

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 323, პავლე მანსვეტაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3632 3—2

---

დაიკარგა ნამსახურობის სია, მიღებული პირველი განსაკუთრებული საპიორთა გუნდის უფროსისაგან, მეტრიკული ამონაწერი და სხვა საბუთები უფროსი ლეიტენანტი გიორგი ყარამანის ძე ჩარექოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3609 1—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 217 ვლადიმერ პავლეს ძე ჯაველიძის სახელზე, მიღებული ბახვის საერობო თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3635 3—2

---

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონებს ბაგრატ და ალექსანდრე არუთინოვებს დაუკარგავთ ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული სააქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3625 3—2

---

დაიკარგა ქართული სავაჭრო ბანკის (ქ. ფოთში) კვიტანცია № 363, რომლის ქვეშ დასახელებული ბანკში ინახებოდა 80.000 მ. ღირებული ნ. დ. ცინცაძის კუთვნილი „ოქროს ვერძის“ აქციები, აგრეთვე ცენტრობანკის კვიტანცია, ამა წლის მაისში გამოცემული, რომლის ქვეშაც ინახებოდა ქ. ტფილისში, ცენტრობანკში, კ. დ. ცინცაძის კუთვნილი, იმავე საზოგადოების, „ოქროს ვერძის“ 68 აქცია, 158.000 მან. ღირებული, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3618 3—2

---

დაიკარგა პასპორტი № 675 ანა კარპის სული ჯავახოვის სახელზე, მიღებული ქ. ახალციხის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3657 3—1

---

დაიკარგა ნასყიდობის სიგელის მთავარი ამონაწერი ელისაბედ აკოფოვის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1901 წ. რეესტრით № 161. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3658 3—1

---

დაიკარგა საბინაო დავთარი ჟუკოვსკის ქ. № 17 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დანელიანცს გაუქმებულად ჩაითვალოს. 3659 3—1

---

დაიკარგა ფერშლის მოწმობა, მიღებული ბრესტ-ლიტოვსკის სამხედრო ჰოსპიტალიდან, პასპორტი, მიღებული გორის ქალაქის გამგეობიდან, მეტრიკა და პირადობის მოწმობა ივანე ნიკოლოზის ძე ალიკაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3661 3—1

---

დაიკარგა პასპორტი № 1390 ნიკოლოზ ივანეს ძე ბერიშვილის სახელზე, მიღებული საქართ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოდან 1919 წ. და სხვა საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3664 3—1

---

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი ნინო ივანეს ასული როსტაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3666 3—1

---

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 292, გრიგოლ არიუტონის ძე მირმანიანის სახელზე, მიღებული მე-4 იიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3668 3—1

---

დაიკარგა პასპორტი ივანე მიხეილის ძე ლალინოვის სახელზე, მიღებული, ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1911 წ გაუქმებულად ჩაითვალოს. 3670 3—1

---

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ალიაბას ახვეროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3671 3—1

---

დაიკარგა უვადო პასპორტი № 5895 გერნახ ალექსანდრეს ძე განოონის სახელზე, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრისაგან 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3663 3—1

---

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიჭირონ ქ. ახალქალაქის უმცროსი ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არ აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 9 დეკემბერს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე. თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1 ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენათ რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 991 1—1

---

## სიღნაღის მე-5-ე სანაპირო რაზმი

**აცხადებს,**

რომ კვირას 14 ამა ნოემბერს 12 საათზე

ბზის მოედანზე (Саманная площадь) არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა სამი წუნდადებული ცხენებისა.

3681 1—1

---

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება

### ამით აცხადებს,

**რომ პარასკევს 10 დეკემბერს 1920 წელს შუადღის 12 საათზე.**

აღნიშნულ განყოფილების ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, დაბეჭდილის ბარათების დაშვებით ბორჩალოს მაზრაში სათევზაოთ შემდეგი მდინარე წყლების გასაცემათ: 1) მდინარე მტკვარზე—2 ნაკვეთი, აღნიშნული საიჯარო დავთრის წიგნში № 491—60.000 მან., № 492—160.000 მან. მდინარე ხრამზე 6 ნაკვეთი აღნიშნულები საიჯარო დავთრის წიგნში № 524—120.000 მან., № 490—75.000 მან., № 503—60.000 მან. № 504—60.000 მან., № 505—150.000 მ., № 506—50.000 მ., 3) დებედაჩაიზე № 518—15.000 მ., № 507—90.000 მან. 4) მდინარე მაშავარზე № 525—60.000 მან., № 508—50.000 მან.

პირადი ვაჭრობის მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება 2 მანეთიანი სალერბო მარკით. დაბეჭდილი ბარათები ამავე სალერბო გადასახადით წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დეკემბერს შუადღის 12 საათისა. დაწვრილებით პირობების განხილვა ხსენებულ სათევზო ადგილების გაცემის შესახებ შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდის საიჯარო განყოფილების ბინაზე ევანგულოვის ქუჩა № 2, ბორჩალოს სამაზრო ერობაში და ბორჩალოს მაზრის პირველ რაიონის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგესთან ქ. შულავერში.

990 1—1

---

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.